USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Women's Information Center

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA AYEG

# სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა

# ECONOMIC NEEDS OF THE WOMEN RESIDING IN THE RURAL AREAS

პროექტის ინტერვენციის შეფასება
საქიროებებისა და დასკვნითი კვლევის
შედეგების შედარებითი ანალიზი

The assessment of the project interventions
Consolidated analysis of the baseline
and endline survey results

2015 თბილისი
TBILISI

**ანგარიშზე მუშაობდნენ**
ანნა ქათამიძე

**Prepared by**
Anna Katamidze

**კვლევის კოორდინატორი**
მადონა კოტია

**Survey Coordinator**
Madona Kotia

**სტილისტ-რედაქტორი**
ქეთევან ფაცაცია

**Stylist Editor**
Ketevan Patsatsia

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, ქალთა საინფორმაციო ცენტრის (WIC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით პროექტის "ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის" ფარგლებში.

This publication is prepared by Association of Young Economists of Georgia with the support of Women's Information Centre (WIC) and United States Agency for International Development (USAID) in the framework of the project "Women as Agents for Change and Empowerment".

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

The views represented herein do not necessarily represent the views of the United States Agency for International Development or the United States Government.

ISBN 978-9941-0-8759-2

## შინაარსი

წინასიტყვაობა ........ 3

პროექტის მიმოხილვა........ 4

კვლევის მეთოდოლოგია........ 5

შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ........ 8

ზოგადი ინფორმაცია ........ 8

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა........ 13

სოციალური მდგომარეობა ........ 14

ქალთა სამეწარმეო საქმიანობა........ 20

ქალთა ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები........ 25

პროექტის შედეგების შეფასება........ 26

ძირითადი მიგნებები........ 30

## Contents

Executive Summary ........ 3

Project Overview ........ 4

Survey Methodology ........ 5

Social-Economic State of Households ........ 8

General Information ........ 8

Agricultural Activities ........ 13

Social Situation ........ 14

Entrepreneurial Activities of Women ........ 20

Economic Development  Opportunities for Women ........ 25

The assessment of the project results ........ 26

Key Findings ........ 30

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საჭიროებებისა და დასკვნითი რაოდენობრივი კვლევების შედეგების გაერთიანებულ ანალიზს, რომელიც ასახავს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობას და სამეწარმეო შესაძლებლობებს სოფლად შემდეგ რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი.

გაერთიანებული ანალიზის ძირითად მიზანს წარმოადგენს პროექტის ინტერვენციის შედეგად მიღწეული ცვლილებების შეფასება.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 1500 შინამეურნეობა.

ანგარიში ასახავს შემდეგ მიმართულებებს:

- შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ქალთა სამეწარმეო საქმიანობა;
- ქალთა ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები;
- პროექტის შედეგების შეფასება.

პუბიკაციაში ასახულია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევის ანგარიში გამიზნულია როგორც საჯარო სექტორის წარმომადგენლებისთვის (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე), ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური განვითარება რთული, გამოწვევებით აღსავსე და გრძელი გზაა. ტრადიციული დამოკიდებულებების შეცვლა, ქალთა მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად ამ გზის გავლისათვის საჭირო მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

## Executive Summary

This report represents a consolidated analysis of the baseline and endline quantitative survey results reflecting women's economical state and entrepreneurial opportunities in the rural areas of the following regions: Kakheti, Imereti, Samtskhe-Javakheti and Mtskheta-Mtianeti.

The aim of the consolidated analysis is to assess the results achieved through the project interventions.

In the scopes of the quantitative survey 1500 households have been studied.

The report covers following issues:

- Social-Economic State of Households;
- Economic Development Opportunities for Women;
- The assessment of the project results.

The key findings and recommendations are described in the publication.

The study report is prepared for the representatives of the public sector (on the central and local level) also for the International and Non-governmental organizations.

Economic development of women residing in rural area is the long and complicated way, full of challenges. Changing of traditional attitudes, increasing of women's motivation and self-assessment together with improving availability of finance are only the first steps necessary to walk along this way.

## პროექტის მიმოხილვა

ანგარიში მომზადებული პროექტის "ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის" ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს_USAID-ის მხარდაჭერით პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში ქალთა სრული მონაწილეობის მხარდასაჭერად.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი პროექტს ახორციელებდა შემდეგ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით/პარტნიორობით: საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (საეა), ქალთა ფონდი "ტასო" (TF), ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR) და გალის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია.

პროექტი ხორციელდებოდა ექვს სამიზნე რეგიონში: თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და გალის რეგიონი.

პროექტი მხარს უჭერდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას და იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტით დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ჩართულობას, მათი პოლიტიკური მონაწილეობის, ეკონომიკური მდგრადობის და მშვიდობის დამყარების პროცესში მონაწილეობის გაზრდის გზით.

პროექტი სამ ურთიერთდაკავშირებულ შედეგზე მუშაობდა:

- **მოსალოდნელი შედეგი 1:** ქალთა გაზრდილი პოლიტიკური მონაწილეობა;
- **მოსალოდნელი შედეგი 2:** ქალთა გაზრდილი ეკონომიკური ჩართულობა და თვითუზრუნველყოფა;
- **მოსალოდნელი შედეგი 3:** სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა.

პროექტის ფარგლებში გაიზარდა ქალთა ეკონომიკური ჩართულობა და თვითუზრუნველყოფა, ადგილობრივი სოფლის მაცხოვრებელი, იძულებით გადაადგილებული და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის მცირე გრანტებზე, ბიზნესკონსულტაციებზე, სამუშაო ინსტრუქტაჟსა, საბანკო სისტემებსა და მიკრო-საფინანსო ინსტიტუტებზე წვდომის უზრუნველყოფის საშუალებით.

## Project Overview

The report is prepared in the framework of the project “Women, as Agents for Change and Empowerment”. The project was implemented by Women’s Information Centre under the United States Agency for International Development -USAID support to assist women in full-scale participation in political, economical and peacemaking processes.

Women’s Information Centre implemented the project in cooperation / partnership with the following local NGOs: Association of Young Economists of Georgia (AYEG), Women’s Taso Fund (TF), Institute for War and Pease Reporting (IWPR) and the NGO acting in Gali region.

The project was implemented in the six target regions: Tbilisi, Mtskheta-Mtianeti, Kakheti, Samtskhe-Javakheti, Imereti and Gali region.

The project supported protection of fundamental human rights through increasing participation of the women representing IDPs, conflict affected and national minorities in the process of political activities, economical sustainability and peace-building.

The project targeted on three interconnected outcomes:

- **Expected outcome 1:** Increased political participation of women;
- **Expected outcome 2:** Increased economical involvement and self-sufficiency of women;
- **Expected outcome 3:** Involvement and participation of women in peacemaking and conflict prevention processes.

The project increased economical involvement and self-sufficiency of women through ensuring access to small grants, business-consultations, job instructions, banking systems and micro-financing institutions for representatives of local villages, IDPs and national minorities.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პირველი ეტაპი ჩატარდა 2014 წლის ზაფხულში და გამოვლინდა არსებული ეკონომიკური საჭიროებები და გამოწვევები, რაც აქვთ ქალებს ბიზნესის დაწყებისა და განვითარების პროცესში სოფლად (გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით). ასევე მოხდა კრედიტებსა და საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირება.

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა პროექტის ფარგლებში ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის საქმიანობების უფრო ეფექტიანად დასაგეგმად და განსახორციელებლად.

ხოლო კვლევის მეორე დასკვნითი ეტაპი ჩატარდა 2015 წლის შემოდგომაზე პროექტის შედეგად მიღწეული ცვლილებებისა და შედეგების შეფასების მიზნით.

კვლევის ორივე ეტაპი ჩატარდა ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის ზედმიწევნით დაცვით და იგი ანალოგიურია კვლევის ორივე ეტაპისათვის.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები განხილულია პროექტის სამიზნე რეგიონების, მუნიციპალიტეტების ჭრილში. თუმცა მონაცემები ასახავს მხოლოდ პროექტის სამიზნე თემებს და მათ საპირწონე სოფლებს. ამასთან, კახეთის რეგიონში ორი მიზნობრივი და საპირწონე თემი ლაგოდეხის მუნციპალიტეტს ეკუთვნის, გარდა ერთისა - ბალღოჯიანი, რომელიც თავის მხრივ სამიზნე თემს წარმოადგენს და ყვარლის მუნიციპალიტეტს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალური კუთვნილება უგულვებელყოფილია სამიზნე და საპირწონე თემების შედარებისას. შესაბამისად, როდესაც მონაცემებში მოცემულია ლაგოდეხის სამიზნე და საპირწონე თემების ინდიკატორები, მათ შორის შედის ბალღოჯიანის კვლევის შედეგებიც.

## Survey Methodology

The first stage of the survey (baseline) was conducted in summer 2014 which revealed the existing economical needs and challenges faced by women in the process of starting and developing business in rural areas (considering gender specificity). Also, there have been identified the barriers characteristic to the availability of credits and bank service.

The results of the survey were used for planning and implementing more effectively the activities related to increasing the economical opportunities in the frames of the project.

The second stage of the survey (endline) was conducted in autumn 2015, in order to assess the changes and results achieved through implementation of the project.

The both stages of the survey were conducted strictly using the below described methodology and the methodology is common for both stages of the study.

The data of quantitative research are reviewed from the point of view of the project's target regions, municipalities, though the data are reflecting only the project's target communities and their counterweight villages. Herein, the two target and counterweight communities in Kakheti region represent Lagodekhi municipality, besides one – Balghojiani, which is the target community and is in the Kvareli municipality. Considering the survey objectives, the municipal affiliation is neglected while comparing the target and counterweight communities. Accordingly, when the data describes target and counterweight communities of Lagodekhi municipality, there is included Balghojiani village data as well.

ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობის განაწილება ლოკაციების მიხედვით საჭიროებების და დასკვნით კვლევებში:

| ლოკაცია | მუნიციპალიტეტი | თემი | საჭიროებების კვლევა | დასკვნითი კვლევა |
|---|---|---|---|---|
| *კახეთი* | | | - | |
| ლელიანი | ლაგოდეხი | სამიზნე | 65 | 65 |
| ბებურიანი | ლაგოდეხი | სამიზნე | 43 | 37 |
| ბალღოჯიანი | ყვარელი | სამიზნე | 63 | 50 |
| აფენი | ლაგოდეხი | საპირწონე | 111 | 124 |
| გვიმრიანი | ლაგოდეხი | საპირწონე | 58 | 67 |
| *მცხეთა-მთიანეთი* | | | | |
| მაღაროსკარი | დუშეთი | სამიზნე | 130 | 127 |
| ჭართალი | დუშეთი | საპირწონე | 152 | 125 |
| *სამცხე-ჯავახეთი* | | | | |
| ციხისჯვარი | ბორჯომი | სამიზნე | 84 | 83 |
| ანდეზიტი | ბორჯომი | სამიზნე | 93 | 95 |
| ტაძრისი | ბორჯომი | საპირწონე | 156 | 156 |
| ტოლოში | ასპინძა | სამიზნე | 151 | 180 |
| ხიზაბავრა | ასპინძა | საპირწონე | 102 | 94 |
| *იმერეთი* | | | - | |
| შუქრუთი | ჭიათურა | სამიზნე | 167 | 173 |
| ხალიფაური | ჭიათურა | საპირწონე | 125 | 124 |
| სულ | | | **1500** | **1500** |

საჭიროებებისა და დასკვნითი ეტაპების კვლევები განხორციელდა ანალოგიური მეთოდოლოგიით, ერთიდაიგივე რესპონდენტებთან და ერთიდაიგივე კითხვარით. დასკვნითი ეტაპის კითხვარში დამატებული იყო რამოდენიმე კითხვა, რომელიც ეხებოდა უშუალოდ პროექტის შედეგების შეფასებას.

კვლევები განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარით, პირისპირ ინტერვიუს გამოკითხვის გზით.

ანკეტირებას დაექვემდებარნენ 16 წლისა და უფროსი ასაკის რიგითი მოქალაქეები. კონფიდენციალობის დაცვისა და დაუფარავი პასუხების მიღებისათვის ინტერვიუს ჩატარების აუცილებელი პირობა იყო რესპონდენტთან პირისპირ კონტაქტი, სხვა პირის დასწრების გარეშე.

ინტერვიუები ჩაატარეს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ინტერვიუერებმა სპეციალური სტრუქტურიზებული კითხვარის მეშვეობით. პასუხების ჩანიშვნა მოხდა კითხვარშივე. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ მიღებული შედეგების შეყვანა მოხდა ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც შექმნილია სპეციალურად სოციოლოგიური გამოკითხვებისათვის, გამორიცხავს ტექნიკური და ლოგიკური ხასიათის

The distribution of the conducted number of interviews in the target and counterweight locations for the baseline and endline surveys:

| Location | Municipality | Community | Baseline | Endline |
|---|---|---|---|---|
| *Kakheti* | | | - | |
| Leliani | Lagodekhi | Target community | 65 | 65 |
| Beburiani | Lagodekhi | Target community | 43 | 37 |
| Balghojiani | Kvareli | Target community | 63 | 50 |
| Apeni | Lagodekhi | Counterweight | 111 | 124 |
| Gvimriani | Lagodekhi | Counterweight | 58 | 67 |
| *Mtskheta-Mtianeti* | | | | |
| Magharoskari | Dusheti | Target community | 130 | 127 |
| Tchartali | Dusheti | Counterweight | 152 | 125 |
| *Samstkhe-Javakheti* | | | | |
| Tsikhisjvari | Borjomi | Target community | 84 | 83 |
| Andeziti | Borjomi | Target community | 93 | 95 |
| Tadzrisi | Borjomi | Counterweight | 156 | 156 |
| Toloshi | Aspindza | Target community | 151 | 180 |
| Khizabavra | Aspindza | Counterweight | 102 | 94 |
| *Imereti* | | | - | |
| Shukruti | Chiatura | Target community | 167 | 173 |
| Khalipauri | Chiatura | Counterweight | 125 | 124 |
| sum | | | 1500 | 1500 |

The baseline and endline surveys were conducted using the similar methodology, with the same respondents using the same questionnaire. In the endline survey questionnaire were added several questions concerning directly the evaluation of the project results.

The quantitative surveys were conducted using the questionnaire developed in advance through face-to-face interviews.

Ordinary citizens of 16 and above were subject to questioning. In order to observe confidentiality and obtain honest answers direct contact with a respondent without any attendees was a mandatory condition for interviews.

The interviews were conducted by interviewers of the Association of Young Economists of Georgia with the help of a special structured questionnaire. Answers were recorded in the questionnaires. Upon completion of the field works the obtained results were introduced into an electronic program developed specifically for sociological survey, excluding technical and logical errors and ensuring creation of a database approximated to the ideal to the limits. Upon putting the data into electronic shape, the data were processed in a special SPSS 22.0 statistical program.

შეცდომებს და უზრუნველყოფს იდეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ მონაცემთა ბაზის შექმნას. მონაცემთა ელექტრონიზაციის შემდეგ მონაცემთა დამუშავება მოხდა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 22.0.

*შერჩევა*

შერჩევის ჯამური ოდენობა განისაზღვრა წინასწარ და წარმოადგენდა 1500 რესპონდენტს. შერჩევა მოხდა ორდონიანი კლასტერული შერჩევით და წინასწარ განსაზღვრული ასაკობრივი სტატიფიკაციის მიხედვით. საწყის ეტაპზე მოხდა 5 რეგიონის: კახეთი, იმერეთი, სამცხე–ჯავახეთი და მცხეთა–მთიანეთი შერჩევა, შემდეგ მოხდა სოფლების შერჩევა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, ყვარელი, ჭიათურა, ბორჯომი, ასპინძა, დუშეთი. ხოლო ამის შემდეგ მოხდა ქალების შერჩევა ასაკობრივი კვოტების გათვალისწინებით.

- პირველ ეტაპზე შეირჩა რეგიონი;
- მეორე ეტაპზე შეირჩა სოფელი (პროექტის სამიზნე თემი და საპირწონე სოფელი);
- მესამე ეტაპზე შეირჩა ქალები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 16-19 წელი; 30-49 წელი; 50 წელს ზევით.

საპირწონე სოფლებად შეირჩა დაახლოებით პროექტის სამიზნე თემების რაოდენობის მოსახლეობის სოფელი, რომელიც ცენტრიდან დაახლოებით იმავე მანძილით არის დაშორებული.

რესპონდენტი შეირჩა 16 წელს ზევით, ქალი, წინასწარ განსაზღვრული კვოტებით სოფლებში. ოჯახიდან გამოიკითხა ერთი ქალი, მაგრამ ოჯახის ყველა წევრზე განისაზღვრა ზოგადი ინფორმაციაც.

შერჩევის შეზღუდულობიდან გამომდინარე შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი 95%-იანი სანდოობის დონით და 7%–იანი სანდოობის ინტერვალით (რაც გულისხმობს, რომ კვლევის 100-ჯერ განმეორებით ჩატარების შემთხვევაში 95%–ში იდენტურ შედეგებს მივიღებთ, სადაც გაცემული პასუხების სტატისტიკები მერყეობს 7%–ით).

*ველის კონტროლი*

ველის კონტროლის მეთოდისა და რაოდენობის შერჩევა მოხდა ველის კოორდინატორის, სტატისტიკოსისა და პროექტის მენეჯერის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ველის კონტროლი განხორციელდა ველის მიმდინარეობის პროცესში და ველის დასრულების შემდეგ. შემთხვევითი პრინციპით შეირჩა 5% გასაკონტროლებელი ანკეტები თითოეულ რეგიონში და სატელეფონო გზით გადამოწმდა რესპონდენტებთან: იყო თუ არა ინტერვიუერი კვლევაზე, რამდენი ხანი დასჭირდა ინტერვიუსთვის და ასევე ძირითადი საკვლევი კითხვები ხელახლა დაესვა რესპონდენტს.

*Sampling*

The sample size was defined in advance and it represented 1500 respondents. Sampling was carried out with the help of double level claster sampling and according to preliminarily defined age stratification. At the initial stage there were selected 5 regions: Kakhetik Imereti, Samtskhe-Javakheti and Mtskheta-Mtianeti, then villages were selected in the following municipalities: Lagodekhi, Kvareli, Chiatura, Borjomi, Aspindza, Dusheti and then women were selected considering age quotas.

- First Stage – regions were selected
- Second Stage – villages were selected (the project target community and counterweight village)
- Third Stage – women according to age groups were selected: age groups of 16-10; 30-49; above 50

The villages with approximately the same population and about in the same distance from the center as the project's target communities were selected as counterweight villages.

Selected respondents were women above 16 with preliminarily defined quotas in the villages. Just one woman was questioned from each family, but the general information was defined for all family members.

Resulting from limited character of the sampling, there was selected an optimal version with 95% of reliability and 7% of reliability interval (which means that in the case of repeating the research 100 times, we will get 95% of identical results, where statistics of given answers fluctuates by 7%).

*Field Control*

Field control methodology and quantity was selected upon joint decision of field coordinator, statistician and project manager. Field control was carried out in the course of field process and after field completion. 5% of questionnaires to be controlled were selected in each region and they were re-checked with respondents through phone calls – whether an interviewer came for interview, how much time the interviewer spent for the interview and, also, for repeated questioning in regard to basic questions under research.

# შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

## ზოგადი ინფორმაცია

გამოკვლეული თემების შინამეურნეობების წევრების რაოდენობრივი სტრუქტურა კვლევის ორივე ეტაპისათვის მსგავსია და საშუალოდ 3,7 წევრიანი ოჯახებისაგან შედგება. დუშეთში, ჭიათურასა და ასპინძაში ყველაზე დიდი წონა 2-3 წევრიან ოჯახებზე მოდის, ხოლო დანარჩენ ერთეულებში შინამეურნეობების უმეტესობა 4-5 წევრიანია.

**დიაგრამა #1:** ოჯახის წევრების რაოდენობის სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით[1]




სულ, შესწავლილ 1500 ოჯახში კვლევის პირველ ეტაპზე 5431 პირი ცხოვრობდა. ხოლო დასკვნითი ეტაპისათვის მათი ჯამური რაოდენობა მცირედით შემცირდა და 5370 პირი შეადგინა. თუმცა ორივე ეტაპის მაჩვენებლებით ქალთა წონა გამოკვლეულ ოჯახებში მსგავსია და 53% შეადგინა. ასევე ფაქტიურად უცვლელია მონაცემები ტერიტორიული ერთეულების მიხედვით და ყველგან ქალთა რაოდენობა მეტია მამაკაცებისაზე. ასევე, თითქმის მსგავსია ბავშვთა წილი, შესწავლილ შინამეურნეობებში მცხოვრებ პირთა საშუალოდ 20% ბავშვია.

**დიაგრამა #2:** შინამეურნეობების სტრუქტურა სქესობრივ ჭრილში[2]




---

[1] დასკვნითი ეტაპის კვლევის მონაცემები
[2] დასკვნითი ეტაპის კვლევის მონაცემები

# Social-Economic State of Households

## General Information

The structure of the number of the surveyed communities households for the both stages of the survey is the same and in average, consist of 3,7 member families. In Dusheti, Chiatura and Aspindza the most weight have 2-3 member families and in other units the majority of households represent 4-5 member families.

**Diagram # 1:** Structure of the number of family members according to municipalities[1]




At the first stage of the survey in the surveyed 1500 families totally lived 5431 individuals. At the endline stage their number decreased slightly to 5370 individuals. Though, for the both stages the women's share in the surveyed families was similar and consisted of 53%.

According to territorial units the data almost do not differ and the number of women is higher than the number of men everywhere. Similarly, the share of children is nearly the same; about 20% of the surveyed individuals represents children.

**Diagram #2:** Structure of household according to gender[2]




[1] The endline survey results
[2] The endline survey results

თითქმის უცვლელი სახითაა წარმოდგენილი ასაკობრივი სტრუქტურაც შინამეურნეობებში. შინამეურნეობებში ყველაზე მაღალი წონა 50 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფზე მოდის, ყველაზე ნაკლები - კი 0-14 წლის ბავშვებზე. აღნიშნული თანაფარდობა მცირედით განსხვავდება თემების მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანი ტენდენცია სქესობრივ ჭრილში არ გამოვლენილა.

**ცხრილი#1:** შესწავლილი შინამეურნეობების ასაკობრივი სტრუქტურა სქესობრივ ჭრილში (%)[3]

| | ასაკობრივი ჯგუფი | ლაგოდეხი | დუშეთი | ჭიათურა | ბორჯომი | ასპინძა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქალი | 15-29 | 22 | 20 | 17 | 21 | 25 |
| | 30-49 | 30 | 27 | 29 | 28 | 26 |
| | 50– ზევით | 34 | 40 | 43 | 33 | 33 |
| | 0-14 | 14 | 13 | 11 | 18 | 15 |
| | | | | | | |
| კაცი | 15-29 | 26 | 20 | 21 | 22 | 26 |
| | 30-49 | 25 | 29 | 27 | 29 | 28 |
| | 50– ზევით | 30 | 30 | 36 | 29 | 28 |
| | 0-14 | 18 | 21 | 15 | 20 | 18 |

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე გამოკვლეული მოსახლეობის 4% მოვიდა საჭიროებების კვლევისას, ხოლო 2% დასკვნითი კვლევისას. თუმცა აღნიშნული მონაცემი იმდენად მცირეა, მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. რაც შეეხება პენსიონერ პირებს - მათი წონა კვლევის პირველ ეტაპზე 12%-ია, ხოლო მეორეზე კი - 13%; მიზნობრივ თემებში ეროვნული უმცირესობები თითქმის არ გვხვდება, გამონაკლისია ბორჯომი, სადაც შინამეურნეობებში მცხოვრებ პირთა 24% ეთნიკურად ბერძენი, რუსი ან/და სომეხია.

კვლევის ორივე ეტაპისათვის ასევე თითქმის ანალოგიურია განათლების მონაცემებიც, სრული საშუალო განათლება მიღებული აქვს შესწავლილი მოსახლეობის 40%-ს საჭიროებების კვლევის შედეგებით, ხოლო დასკვნით ეტაპზე იგივე მაჩვენებელმა 41% შეადგინა. უმაღლეს განათლებაზე მოდიოდა 17% და 16% შესაბამისად, ხოლო ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა კვლევის ორივე ეტაპისათვის 15%-მა. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების მწვავე საჭიროებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სულ შესწავლილ შინამეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულია 655 პირი. საგულისხმოა, რომ დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მეტია მამაკაცებისაზე კახეთის რეგიონში. მნიშვნელოვანი სხვაობაა ჭიათურაში, სადაც უმეტესად მამაკაცები არიან დასაქმებულები (67%) და ისინი ძირითადად მაღაროებში მუშაობენ. ამასთან, დასკვნითი კვლევის შედეგების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად დასაქმების ჯამური მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია, სამიზნე სოფლებში

[3] დასკვნითი ეტაპის კვლევის მონაცემები

The age structure in the households is almost the same. In the households the highest share belong to the age group over 50, the least – belongs to the age group of 0-14. The mentioned relativity slightly differs according to communities. Similarly, there has been found no serious trend from the gender point of view.

**Table #1:** Age structure of the surveyed households according to gender(%)[3]

| | Age group | Lagodekhi | Dusheti | Chiatura | Borjomi | Aspindza |
|---|---|---|---|---|---|---|
| **Female** | 15-29 | 22 | 20 | 17 | 21 | 25 |
| | 30-49 | 30 | 27 | 29 | 28 | 26 |
| | 50– ზევით | 34 | 40 | 43 | 33 | 33 |
| | 0-14 | 14 | 13 | 11 | 18 | 15 |
| | | | | | | |
| **Male** | 15-29 | 26 | 20 | 21 | 22 | 26 |
| | 30-49 | 25 | 29 | 27 | 29 | 28 |
| | 50– ზევით | 30 | 30 | 36 | 29 | 28 |
| | 0-14 | 18 | 21 | 15 | 20 | 18 |

The 4% of the surveyed population was people with limited abilities in the baseline survey, as for the endline - 2%. The mentioned data is very low for making some important conclusions. As for the pensioners their share at the first stage was 12%, at the second stage – 13%. There are almost no national minorities in the target communities Borjomi is an exception where 24% of individuals living in households are ethnic Greeks, Russians or Armenians.

In the both stages of the survey the education data is almost the same; the full secondary education has received 40% of the surveyed population according to the baseline survey results, as for the endline survey the same data amounted 41%. Similarly, 17% and 16% amounted the share of individuals who has received the higher education, and 15% were graduates of technical colleges at the both stages of the survey. The mentioned indicator proves once more the urgent need for implementation of educational initiatives which is a necessary precondition for effective implementation of economical opportunities.

According to the information provided by the respondents, in total 655 individuals are employed among the surveyed households. It should be mentioned that in the the number of employed women are higher than the number of employed men in Kakheti region. The significant difference can be found in Chiatura, where the majority of men are employeed (67%) and mainly, men work there in mines.

Herein, according to the endline survey results, besides the fact that generally the employment rate is extremely low, the number of the employed individuals is twice higher in the target communities than in the counterweigh villages. According to the locations the same indicator is similar in Lagodekhi and Dusheti villages, as for the other communities the difference is impressive.

[3] The endline survey results

დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე საპირწონე სოფლებში. ლოკაციების მიხედვით კი იგივე მონაცემი თითქმის მსგავსია ლაგოდეხისა და დუშეთის სოფლებისათვის, ხოლო დანარჩენ თემებში განსხვავება შთამბეჭდავია.

**ცხრილი#2:** შესწავლილ შინამეურნეობებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა

| | ლაგოდეხი | დუშეთი | ჭიათურა | ბორჯომი | ასპინძა |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ, ოჯახის წევრების რაოდენობა** | 1,366 | 673 | 939 | 1,402 | 990 |
| **სულ, დასაქმებული პირები** | 144 | 73 | 167 | 137 | 134 |
| **მათ შორის:** | | | | | |
| **სამიზნე სოფლები** | 71 | 37 | 109 | 96 | 103 |
| **საპირწონე სოფლები** | 73 | 36 | 58 | 41 | 31 |
| **გენდერულ ჭრილში** | | | | | |
| **სულ, გამოკვლეულები** | | | | | |
| **ქალი, %** | 57.7 | 42.5 | 33.5 | 46.0 | 44.8 |
| **კაცი, %** | 42.3 | 57.5 | 66.5 | 54.0 | 55.2 |
| **სამიზნე სოფლებში** | | | | | |
| **ქალი, %** | 58.0 | 51.4 | 39.4 | 38.5 | 36.9 |
| **კაცი, %** | 42.0 | 48.6 | 60.6 | 61.5 | 63.1 |
| **საპირწონე სოფლები** | | | | | |
| **ქალი, %** | 57.5 | 33.3 | 22.4 | 63.4 | 71.0 |
| **კაცი, %** | 42.5 | 66.7 | 77.6 | 36.6 | 29.0 |

**დიაგრამა#3.** დასაქმებულ პირთა რაოდენობა სამიზნე და საპირწონე თემების მიხედვით




შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასაქმების თვალსაზრისით, რათქმაუნდა, პირველი პრიორიტეტი რეალური სამუშაო ადგილების ფორმირების ხელშეწყობაა, რაც სოფლად განსაკუთრებით რთული ამოცანაა. თუმცა ქალთა დასაქმებას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გარეშე პერსპექტივები თითქმის არ გააჩნია. ამ მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა

**Table #2:** Number of employed individuals in the surveyed households

| | Lagodekhi | Dusheti | Chiatura | Borjomi | Aspindza |
|---|---|---|---|---|---|
| Total number of family members | 1,366 | 673 | 939 | 1,402 | 990 |
| Total number of employed individuals | 144 | 73 | 167 | 137 | 134 |
| Among them: | | | | | |
| Target villages | 71 | 37 | 109 | 96 | 103 |
| Counterweight villages | 73 | 36 | 58 | 41 | 31 |
| In terms of gender | | | | | |
| total surveyed | | | | | |
| Female % | 57.7 | 42.5 | 33.5 | 46.0 | 44.8 |
| Male % | 42.3 | 57.5 | 66.5 | 54.0 | 55.2 |
| Target villages | | | | | |
| Female % | 58.0 | 51.4 | 39.4 | 38.5 | 36.9 |
| Male % | 42.0 | 48.6 | 60.6 | 61.5 | 63.1 |
| Counterweight villages | | | | | |
| Female % | 57.5 | 33.3 | 22.4 | 63.4 | 71.0 |
| Male % | 42.5 | 66.7 | 77.6 | 36.6 | 29.0 |

**Diagram #3:** Number of employed individuals in target and counterweight communities




Correspondingly, we can conclude that, from the employment point of view, of course, first priority is promotion of real job creation, which is extremely complicated in rural areas. Though, employment of women, without increasing availability of pre-school care institutions, has almost no perspective. In this regard, local self-governance bodies should make more efforts to transfer availability of daycare school into reality for the population of rural area.

გაწიონ დამატებითი ძალისხმევა, რათა სოფლის მოსახლეობისათვის შვილების საბავშვო ბაღებში მიყვანის შესაძლებლობა რეალობად აქციონ.

კვლევის ორივე ეტაპის შედეგების თანახმად ნათლად გამოჩნდა, რომ შესწავლილი ოჯახები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსგან მიღებულ დახმარებებსა თუ პენსიებზე, რაც უმეტესი შინამეურნეობებისათვის არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ბენეფიციართა ყველაზე დიდი რაოდენობა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას ჰყავს. კვლევის პირველ ეტაპზე ოჯახთა საშუალოდ 78% იყო ამ პროგრამაში ჩართული, მეორე ეტაპისათვის კი მაჩვენებელმა თითქმის 100%-ს მიაღწია. განსხვავებული მდგომარეობაა ფულად დახმარების - საარსებო შემწეობის მიღების კუთხით, პირველ ეტაპზე აღნიშნულ შემწეობას - შინამეურნეობების საშუალოდ 22% იღებდა, ხოლო დასკვნით ეტაპზე მაჩვენებლი შემცირდა 13%-მდე. ეს სხვაობა განპირობებულია არა იმით, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ოჯახების სოციალური მდგომარეობა, არამედ უშუალოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით, რის გამოც უამრავ ოჯახს შეუჩერდა დახმარება პროგრამის ფორმულის განახლებისა და სხვა მოტივებით. უცვლელი დარჩა პენსიის მიმღებთა წონა - კვლევის ორივე ეტაპზე ოჯახების 48%-ში დაფიქსირდა ერთი პენსიონერი მაინც.

**დიაგრამა #4:** სახელმწიფო დახმარებები და პენსიები მუნიციპალიტეტების მიხედვით[4]




კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ასევე შესწავლილ იქნა, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულები რესპონდენტები საზოგადოებრივ საქმიანობაში. კითხვაზე, ესწრებით/ესწრებოდით თუ არა თქვენ სხვადასხვა მხარეების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს, რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა დადებითი პასუხი გასცა. ამასთან საგულისხმოა, რომ კვლევის დასკვნით ეტაპზე ჯამური მონაცემები გაზრდილია, თუმცა ძირითადად სამიზნე სოფლების ხარჯზე. უფრო მეტიც, საპირწონე სოფლების მაჩვენებლები საჭიროების კვლევის

[4] დასკვნითი ეტაპის კვლევის მონაცემები

According to the both stages of the survey results it became obvious that the surveyed families are significantly dependent on state assistance and pensions, which represent the only source of existence for the majority of the households. The highest number of the beneficiaries has the Health Insurance program. At the first stage of the survey almost 78% of families were involved in the mentioned program, at the second stage the data almost amounted 100%. The totally different situation was reveled in terms of the Pecuniary Social Assistance - (Subsistence Allowance), at the first stage 22% of the households received the mentioned state assistance, as for the second stage the data has decreased to 13%. The difference is not caused by the fact that the social state of the households has significantly improved. It is a result of the changes implemented in the scopes of the program by the Social Service Agency, that is why a lot of families were suspended receiving the aid, because of the renewal of the calculation formula or other reasons. The number of the pensioners remained the same - for the both stages of the survey in 48% of the families there is, at least, one pensioner.

**Diagram #4:** State assistances and pensions according to the municipalities[4]




Resulting from the survey objectives, the extent of involvement of the respondents in the public activities was also studied. The question whether they are/were attending meetings organized by various parties was positively answered by the majority of individuals. It should be noted that in the endline survey results the total data is increased, mainly at the expense of the target villages. Moreover the data of the counterweight villages is slightly less at the second stage than it was in the baseline. Therefore we can conclude that the implemented project has payed the positive and significant role in civil activation of the local citizens.

[4] The endline survey results

დროს მიღებულ მონაცემებზე ოდნავ დაბალიც კია. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხორციელებულმა პროექტმა დადებითი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო გააქტიურების მიმართულებით.

**დიაგრამა #5 :** მონაწილეობა საჯარო შეხვედრებში კვლევის ეტაპების მიხედვით (%)




თუ საჭიროებების კვლევის ეტაპზე რესპონდენტების მხოლოდ 8,4%-მა დაადასტურა, რომ მათ აქვთ სხვადასხვა ტიპის ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან, დასკვნითი კვლევის დროს მონაცემი გაიზარდა 24%-მდე. ჯამური ზრდა მოხდა სამიზნე თემების ხარჯზე, სადაც საშუალო მაჩვენებელი თითქმის 30%-ია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასამთავრობო სექტორის სოფლებში მუშაობის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის როგორც სამოქალაქო, ასევე ეკონომიკური გააქტიურების კუთხით.

მისასალმებელია უშუალოდ თვითმმართველი ორგანოების მხრიდან ინიცირებული შეხვედრები და განხილვები, თუმცა კიდევ არის ასეთი ტიპის ჩართულობის გაძლიერების და ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობები. ამასთან, მიღებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ აუცილებელია არასამთავრობო სექტორის მუშაობის გაძლიერება სოფლად. გასაგებია, რომ სხვადასხვა პროექტების განხორცილების დროს ბევრად ადვილია ქალაქად და მჭიდროდ დასახლებულ ლოკაციებზე მუშაობა, სადაც ბენეფიციართა დიდი რაოდენობის მოცვაა შესაძლებელი. თუმცა ყველაზე მეტი ხელშეწყობა სწორედ რომ სოფლად მხოვრებ პირებს სჭირდებათ, რამდენადაც მათ ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა სულ ცოტა ოპერატიულად მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ინიციატივების შესახებ.

რაც შეეხება ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მიღების წყაროებს, ტელევიზიას დომინანტი როლი აქვს. რესპონდენტთა 99%, აბსოლუტური უმრავლესობა, ინფორმაციას სწორედ ტელევიზიიდან იღებს, 34% კი სოფლის კრებებზე იგებს საჭირო ამბებს.

**Diagram #5 :** Participation in the public meetings according to the stages of the survey (%)




According to the baseline survey results 8,4% of the respondents confirmed that they had various types of relations with the nongovernment sector, the mentioned data increased to 24% in the endline survey results. The total increase has been caused at the epense of the target communities, where the average indicator is almost 30%. We can assume that strengthening the active work of the NGOs in the rural areas has a great importance in terms of the civil and economic activity of the local population.

Meetings and discussions initiated directly by self-government bodies are welcome, though there are opportunities to strengthen such types of involvement and increase effectiveness. Besides, the obtained data prove that it is necessary to activate non-governmental sector functioning in rural area. It is evident, that when implementing various projects, it is much easier to work in large cities and densely-populated locations, where large number of beneficiaries can be covered. Though the most support is needed for individuals residing in rural areas, as they lack opportunity to, at least, operatively obtain information on various initiatives.

As to the sources of getting the information of general social-economical character, the television has dominating role. Absolute majority (99%) of the respondents is getting information from television, 34% - receives the necessary information at the village meetings.

## სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

გამოკითხული რესპონდენტების 11%-ს საერთოდ არ დაუმუშავებია მიწა მიმდინარე წელს საჭიროებების კვლევის ეტაპზე. ეს მონაცემები მცირედით შემცირდა დასკვნითი კვლევის დროს და 8% შეადგინა. საგულისხმოა, რომ კვლევის ორივე ეტაპზე ბორჯომსა და ჭიათურაში აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, რაც ობიექტური ფაქტორებითაა გამოწვეული. აღნიშნული ტერიტორიები საკმაოდ მცირე მიწიანია და არსებული მიწაც ნაკლებ ნაყოფიერი.

**დიაგრამა #6:** შინამეურნეობების წილი, ვისაც არ დაუმუშავებია მიწა (%)




რაც შეეხება იმ შინამეურნეობებს, რომლებმაც ასე თუ ისე მოახერხეს მიწის დამუშავება, საკვლევი ლოკაციების მიხედვით სურათი მეტ-ნაკლებად მსგავსია კვლევის ორივე ეტაპისათვის. როგორც საჭიროებების ასევე დასკვითი კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ კახეთის მხარეში საკვლევი ოჯახების თითქმის 50%-მა 1ჰა-ზე მეტი მიწა დაამუშავა. ხოლო ყველა სხვა თემებში ძირითადი წონა 0,5ჰა-მდე მიწის ფართობზე მოდის. ამის ახსნა, პირველ რიგში, რეალური გეოგრაფიული პირობებით შეიძლება.

**დიაგრამა #7:** დამუშავებული მიწების ფართობები[5]




[5] დასკვნითი კვლევის მონაცემები

## Agricultural Activities

At the baseline survey stage 11% of the respondents did not cultivate land last year at all. The data slightly decreased at the endline survey stage and amounted 8%. It should be mentioned that at the both stages of the survey, the same indicator in Borjomi and Chiatura reached the highest percentage, which is caused by the objective factors. The mentioned territories have rather small land areas, which are less productive.

**Diagram #6:** Indicator of land cultivation according to municipalities




As to the households which have somehow managed to cultivate their lands, the picture is more or less similar according to the locations at the both stages of the survey. In Kakheti region almost 50% of the surveyed families cultivated more than 1ha land plot according to the baseline and endline survey results. While in other communities the basic weight lies on less than 0,5ha land plots. This could be explained by the real geographical conditions first of all.

**Diagram #7:** Cultivated land plots[5]




[5] Endline survey results

შესაბამისად, აუცილებელია ნაკლებ მიწიან თემებში ისეთი ეკონომიკური მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობასა და ნაყოფიერებასთან. აქვე მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიების დამატებითი შესწავლა და ანალიზი, რათა გამოვლინდეს მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური და ქმედითი პერსპექტივები. ამასთან, ეფექტიანი იქნება მოსახლეობის დამატებით ინფორმირება მიწის იჯარით აღების პროცედურების შესახებ და მათი მხარდაჭერა აღნიშნულ პროცესში. ამ გზით სოფლის ოჯახებს საშუალება მიეცემათ დაამუშავონ მიწის მეტი ფართობი და შესაბამისად მიიღონ მეტი შემოსავალი.

## სოციალური მდგომარეობა

სოციალური ფონი ქვეყანაში არასახარბიელოა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საჭიროების კვლევის ჩატარების შემდეგ ადგილი ჰქონდა ვალუტის კურსის მნიშვნელოვან გაუარესებას და შესაბამისად საყოფაცხოვრებო პროდუტებზე ფასების ზრდას, მათ შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფასების ზრდას მედიკამენტებსა და რიგ საკვებ პროდუქტებზე. სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის რთულია ფინანსური შემოსავლების მიღება და სათანადო ცხოვრების დონის უზრუნველყოფა. ამასთან, ოჯახები ცდილობენ რა ელემენტარული საარსებო საშუალებების მოძიებას, ვერ ახერხებენ რაიმე ტიპის სამეწარმეო საქმიანობის ინიცირებას, რასაც სჭირდება როგორც თუნდაც ელემენტარული საინვესტიციო ხარჯი, ასევე ყველაზე წარმატებული ბიზნესინიციატივისათვის კი დრო, რათა მიიღოს უკუგება.

შესაბამისად, გარკვეულწილად ჩაკეტილ წრესთან გვაქვს საქმე. ოჯახებს თუ არ ექნებათ საარსებო საშუალებები ისინი ვერ შეძლებენ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას და მეორეს მხრივ, თუ არ გააქტიურდებიან მუდამ დამოკიდებულები იქნებიან სოციალურ შემწეობებსა და პენსიებზე.

კვლევის ორივე ეტაპის შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი ოჯახების ძირითად წყაროს სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავლები (პენსია, სოციალური დახმარება) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხები წარმოადგენენ. თითქმის განახევრებულია სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა, რაც სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმდინარე პროცესებითაა განპირობებული. მცირედით, მაგრამ ზრდაა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა მიწათმოქმედების შედეგად მიღებული და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციის კუთხით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერსოა მცირე ბიზნესით მიღებული შემოსავლები, მონაცემი ორივე ეტაპისათვის თითქმის მსგავსია და 11%-ს არ აღემატება, თუმცა საინტერესოა, რომ სამიზნე სოფლებში რესპონდენტთა 15% ეწევა მცირე მეწარმეობას, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი საპირწონე სოფლებისათვის მხოლოდ 7%-ია. ამასთან, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს შემოსავლების სტრუქტურაში არის „ვალის აღება“, რაც ძირითად შემთხვევებში არის ე.წ. ნისია მაღაზიებში. თუ საჭიროებების კვლევის მომენტისათვის ვალი აღებული ქონდა რესპონდენტების 9%-ს, ეს მაჩვენებლი დასკვნითი კვლევის პერიოდისათვის 27%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შინამეურნეობებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფინანსური დეფიციტი ძირითადი საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

Correspondingly, it is necessary to support development of such economic directions in the communities lacking land, which will not be related to volume and productivity of agricultural lands. Additional studying and analyzing of the mentioned territories is also important to reveal the real and effective perspective of their social-economic development. Besides, additional informing of the population on the procedures of land renting and supporting them in the mentioned process will be effective. In this way rural families will be given opportunity to develop more land and, correspondingly, get more income.

## Social Situation

Social background in the country is not favorable. Moreover, it should be noted, that since the implementation of the baseline survey there has been significant devaluation of the currency exchange rate, relatively the prices on the consumer products has increased, among them the most significant increase of prices was detected on the medicines and some food products. For the rural population, it is difficult to get financial income and ensure corresponding level of life. Besides, families trying to get basic subsistence means cannot initiate some kind of entrepreneurial activity which needs even elementary investment and time for getting return on investment.

Correspondingly, from certain point of view, we have faced a vicious circle. If families do not have subsistence means they will not be able to start entrepreneurial business and, on the other hand, if they do not become more active they will always depend on social benefits and pensions.

Both stages of the survey has revealed that the state assistance (pensions and social subsidy) and income received from the sale of agricultural products are the basic source of income for the majority of surveyed families. The number of the families eligible for monetary social benefits is almost halved, which is caused by the changes issued in the Social Service Agency. There was detected a slight increase of the directions like sales of the agricultural and livestock products. The income received from small businesses is interesting for the survey objectives. The data is almost the same at the both stages of the survey and amounts 11%, though it is interesting that in the target communities 15% of the respondent run their own businesses, when the same data for the counterweight communities is only 7%. In addition one important change was detected in terms of the borrowing credits, which in most cases are the simple borrowings from the grocery stores. If 9% of the respondents had credits in the baseline survey results, the same indicator has increased to 27% in the endline survey results. Relatively, we can conclude, that the households are facing significant financial deficit in order to satisfy the basic consumer needs of households.

**ცხრილი #3:** ოჯახების შემოსავლის წყაროები (%)

| წყარო | I ეტაპი, საერთო | II ეტაპი, საერთო | სამიზნე თემები (II ეტაპი) | საპირწონე თემები (II ეტაპი) |
|---|---|---|---|---|
| ოჯახის წევრების ჯამური პენსია | 50 | 45 | 39 | 52 |
| სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია | 48 | 52 | 53 | 51 |
| ცხოველის , ფრინველის, რძის პროდუქტების რეალიზაცია | 41 | 49 | 50 | 48 |
| ოჯახის ფულადი სოციალური შემწეობა | 22 | 11 | 9 | 14 |
| ოჯახის წევრების ჯამური ხელფასი | 21 | 29 | 31 | 26 |
| ახლობლის დახმარება (გზავნილები) | 13 | 6 | 5 | 8 |
| მცირე ბიზნესი | 10 | 11 | 15 | 7 |
| ვალის აღება | 9 | 27 | 23 | 33 |

რაც შეეხება შემოსავლების წყაროების სტრუქტურას პროექტის ლოკაციების მიხედვით, სურათი საკმაოდ განსხვავებულია და გარკვეულწილად ასახავს ლოკაციების გეოგრაფიულ თავისებურებებს. ოჯახების 42%-ს შემოსავალი ხელფასებიდან გააჩნიათ მხოლოდ ჭიათურაში, დანარჩენ ლოკაციებზე ეს მონაცემი მნიშვნელოვნად დაბალია. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ აქ მამაკაცების უმეტესობა მუშაობს მაღაროებში. ასევე იმ ლოკაციებში, სადაც შედარებით დიდია დამუშავებული მიწის ფართობები, შესაბამისად მაღალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების წონა.

**ცხრილი #4:** შემოსავლის ძირითადი წყაროები ლოკაციების მიხედვით[6]

| შემოსავლის წყარო | ლაგოდეხი | დუშეთი | ჭიათურა | ბორჯომი | ასპინძა |
|---|---|---|---|---|---|
| ოჯახის წევრების ჯამური ხელფასი | 12.6 | 23.0 | 42.1 | 29.0 | 36.5 |
| ოჯახის წევრების ჯამური პენსია | 37.9 | 45.2 | 54.2 | 46.4 | 44.5 |
| ოჯახის ფულადი სოციალური შემწეობა | 6.0 | 22.2 | 17.5 | 0.9 | 14.6 |
| მეგობრის/ნათესავის დახმარება (გზავნილები) | 15.0 | 4.8 | 6.4 | 3.6 | 1.8 |
| სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია (მიწათმოქმედებიდან) | 63.8 | 34.1 | 10.8 | 52.5 | 75.5 |
| მეცხოველეობის / მეფრინველეობის პროდუქციის რეალიზაცია | 43.0 | 39.3 | 31.0 | 73.4 | 53.6 |
| ვალის აღება | 27.3 | 24.6 | 24.6 | 21.9 | 41.2 |

---

[6] დასკვნითი კვლევის მონაცემები

**Table #3:** Sources of income of the households (%)

| Source of income | I Stage General | II Stage General | Target communities (II Stage) | Counterweight communities (II Stage) |
|---|---|---|---|---|
| Total pension of the family members | 50 | 45 | 39 | 52 |
| Agricultural products realization | 48 | 52 | 53 | 51 |
| Realization of the cattle, poultry, milk and dairy products | 41 | 49 | 50 | 48 |
| Monetary social assistance of the family | 22 | 11 | 9 | 14 |
| Total salary of the family members | 21 | 29 | 31 | 26 |
| Assistance of the relatives (transfers) | 13 | 6 | 5 | 8 |
| Small Business | 10 | 11 | 15 | 7 |
| Credits | 9 | 27 | 23 | 33 |

As for the structure of the sources of income by the project location, the picture differs and to some extent reflects the geographic characteristics and specifics of the locations. The income from the salary of the family members has 42% of families only in Chiatura, for the rest locations the data is significantly less. The mentioned is caused by the fact that in Chiatura, most of the men are employed in the mines. The higher is the weight of the source of income from the realization of the agricultural products in the locations where the families have cultivated bigger land plots.

**Table #4:** Sources of income according to locations[6]

| Source of income | Lagodekhi | Dusheti | Chiatura | Borjomi | Aspindza |
|---|---|---|---|---|---|
| Total pension of the family members | 12.6 | 23.0 | 42.1 | 29.0 | 36.5 |
| Agricultural products realization | 37.9 | 45.2 | 54.2 | 46.4 | 44.5 |
| Realization of the cattle, poultry, milk and dairy products | 6.0 | 22.2 | 17.5 | 0.9 | 14.6 |
| Monetary social assistance of the family | 15.0 | 4.8 | 6.4 | 3.6 | 1.8 |
| Total salary of the family members | 63.8 | 34.1 | 10.8 | 52.5 | 75.5 |
| Assistance of the relatives (transfers) | 43.0 | 39.3 | 31.0 | 73.4 | 53.6 |
| Small Business | 27.3 | 24.6 | 24.6 | 21.9 | 41.2 |

[6] Endline survey results

შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოებიდან შემოსავლის მიღება პირდაპირ დამოკიდებულია ხელმისაწვდომი სავარგულების რაოდენობასა და ნაყოფირებაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესის განვითარების საჭიროება ყველა ლოკაციისათვის ერთნაირად მწვავეა. იმ თემებში, სადაც ხდება პირველადი წარმოების შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზაცია, გადამამუშავებელი მიმართულებების გაძლიერება და გასაღების ბაზრებზე წვდომის გაზრდა შესაძლებელს გახდის შინამეურნეობებისათვის სულ ცოტა შემოსავლების გაორმაგებას. ხოლო დანარჩენი თემებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესის განვითარებას არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებებით, მათ შორის შეიძლება იყოს: მომსახურების სხვადასხვა სფეროები - ვაჭრობა, ტურიზმი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა - როგორებიცაა მინერალური წყლები, ტყით სარგებლობა, სამონადირეო მეურნეობები, სახალხო რეწვა და ა.შ.

ოჯახების სოციალური მდგომარეობას ასევე ასახავს მათი ხარჯების სტრუქტურა, რომელიც საკმაოდ შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი კვლევების ეტაპების მიხედვით. რესპონდენტების ინფორმაციით გაწეული ხარჯების 40% საკვებ პროდუქტებზე მოდიოდა საჭიროებების კვლევის ეტაპზე, ხოლო დასკვნითი კვლევისათვის ეს მონაცემი 30%-მდე შემცირდა, თუმცაღა ვალის დაბრუნების კომპონენტი (რომელიც ძირითადად ნისიებისაგან შედგება) 14%-დან 26%-მდე ავიდა. შესამაბისად, შეგვიძლია ვივარუდოთ, რომ ძირითად შემთხვევებში საკვები პროდუქტების შეძენაზე ოჯახების მიერ გაწეული ხარჯების წონა იგივე დარჩა ან შეიძლება გაიზარდა კიდეც, შემცირდა ფაქტიურად საკვებში იმავდროულად გადახდილი თანხების რაოდენობა. უცვლელი დარჩა სამედიცინო მომსახურების ხარჯების წონა, თუმცა თითქმის განახევრდა მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების წილი. დანარჩენ კომპონენტებში სურათი მეტ-ნაკლებად მსგავსია.

**დიაგრამა #8:** შინამეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების სტრუქტურა



Correspondingly, getting income from primary agricultural production directly depends on the number of available lands and their productivity. Though it should be mentioned, that development of small business is equally urgent for all locations. In the communities, where products obtained as the result of primary production are sold, strengthening of processing directions and access to markets will make it possible for households, at least, to double their incomes. And for other communities, development of small business in non-agricultural direction, including various spheres of service – trade, tourism, application of natural resources (mineral waters, woods, hunting, folk handicrafts, etc.) can have essential meaning.

Structure of expenses is also reflecting the social state of families, which is significantly changed for the conducted survey stages. According to the respondent's information 40% of the expenses go to food products at the baseline survey stage, though the data at the endline survey stage has decreased to 30%. Though, the credit repayment component (which is composed basically from the store borrowings) has increased from 14% to 26%. The medical service expenses weight remained the same, though the percentage of the expenses spent on the medicines is almost halved. The picture is almost unchanged in other expenses structure.

**Diagram #8:** Structure of expenses incurred by households




According to the endline survey results one household spends average 644 GEL in a month. It is interesting that the data for the target communities is 704 GEL, and for the counterweight communities amounts only 573 GEL. As for the structural distribution, the expenses spent on the medicines are almost the same for the whole survey also for the communities. The more obvious difference is in terms of the credit repayments, in the target communities the data amounts 196 GEL, for the counterweight communities – 125 GEL. In the target communities 5 GEL average is more spent on the food products.

დასკვნითი კვლევის შედეგების თანახმად, ერთი შინამეურნეობა თვეში საშუალოდ 644 ლარს ხარჯავს. საინტერესოა, რომ ეს მონაცემი სამიზნე სოფლებისათვის 704 ლარს, ხოლო საპირწონე თემებისათვის კი - 573 ლარს შეადგენს. რაც შეეხება სტრუქტურულ გადანაწილებას, თითქმის მსგავსია მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების როგორც საშუალო მონაცემი მთელი კვლევისათვის ასევე თემების მიხედვით. მეტად თვლასაჩინოა განსხვავება ვალის დაბრუნების ნაწილში, სამიზნე სოფლებისათვის ეს მონაცემი საშუალოდ 196 ლარს შეადგენს, ხოლო საპირწონესათვის კი - 125 ლარს. საშუალოდ 5 ლარით მეტს ხარჯავენ საკვებში სამიზნე თემში მცხოვრები შინამეურნეობები.

**დიაგრამა #9:** საშუალო ყოველთვიური ხარჯების ძირითადი კომპონენტები სამიზნე და საპირწონე თემებისათვის (ლარი).[7]




სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების დადგენისათვის მდგომარეობის შეფასება ეთხოვათ უშუალოდ რესპონდენტებსაც და ასევე ინტერვიუერებმა წინასწარ განსაზღვრული შკალით მოახდინეს ოჯახების რანჟირება. რესპონდენტთა თვითშეფასებით მატერიალურ უზრუნველყოფას მეტ-ნაკლებად ახერხებდა ყველა ლოკაციისათვის - 53% საჭიროებების კვლევის ეტაპზე, რაც დასკვნითი კვლევის ეტაპისათვის 39%-მდე ჩამოვიდა და უმეტესი წონა 55%-ზე მეტი მოვიდა პასუხზე „გაჭირვებით ვახერხებთ“.

[7] დასკვნითი კვლევის შედეგები

**Diagram #9:** Average monthly expenses for the target and counterweight communities (GEL)[7]




To identify social and life conditions, the respondents were asked to evaluate the situation and, besides, the interviewers ranked families according to a preliminarily prepared scale. According to the respondents' self-assessment, the majority of them more of less managed to materially provide their families - 53% in average for all locations in the baseline survey; in the endline survey the data decreased to 39%, and the majority of families 55% answered that they managed hardly to satisfy the family needs.

[7] Endline survey results

**დიაგრამა #10:** მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასება - საჭიროებების კვლევა




**დიაგრამა #11:** მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასება - დასკვნითი კვლევა




ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების შეფასება ინტერვიუერებმა მოახდინეს პირადი შთაბეჭდილებით, რომელიც მათ მიიღეს ოჯახში სტუმრობისას. ბუნებრივია, აღნიშნული შეფასებები გარკვეულწილად სუბიექტურია, თუმცა მეტ-ნაკლებად ასახავს შინამეურნეობების რეალურ მდგომარეობას. საგულისხმოა, რომ საყოფაცხოვრებო პირობების ყველაზე ცუდი შეფასება ჭიათურასა და ასპინძაში გამოვლინდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ბორჯომში, დუშეთსა და ლაგოდეხში. ბუნებრივია, საყოფაცხოვრებო პირობები პირდაპირ დაკავშირებულია ოჯახის შემოსავლებთან. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუ მათ გაუჩნდებათ ელემენტარული დანაზოგების გაკეთების შესაძლებლობა, მას შემდეგ რაც გაწევენ აუცილებელ ხარჯებს კვებაზე, მედიკამენტებსა და ა.შ. კვლევის ორივე ეტაპზე მონაცემები მსგავსია და რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება საყოფაცხოვრებო პირობების კუთხით არ გამოვლენილა. ასევე თითქმის არაა სხვაობა სამიზნე და საპირწონე სოფლების მიხედვით.

**Diagram #10:** Self-assessment of material state – baseline survey




**Diagram #11:** Self-assessment of material state – endline survey




The interviewers appraised life conditions of families on the basis of their own impression obtained as the result of visits to families. It is natural that the mentioned evaluation is subjective to certain extent, though reflects real situation of households more or less. It should be mentioned that the worst assessment of life conditions were revealed in Chiatura and Aspindza. The situation is relatively better in Borjomi, Dusheti and Lagodekhi. It is natural that living conditions are directly related to family revenues. Life conditions can be improved only in the case if they are able to make elementary savings after making basic spending on food, medicines, etc. At the both stages of the survey the living conditions of the families are more or less the same, any significant differences has not been revealed. Also there has not been detected any changes in the target and counterweight villages.

**დიაგრამა #12:** ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები - ინტერვიუერის შეფასება[8]




საჭიროებების კვლევის ეტაპზე, ინტერვიუერის შეფასებით შესწავლილი ოჯახების 30% შეფასდა როგორც „ღარიბი / მეტნაკლებად იკმაყოფილებს შიმშილს", ყველაზე დიდი წონა 48% კი მიიღო შეფასებამ - „საშუალო შეძლების / იკმაყოფილებს შიმშილს". დასკვნით ეტაპზე შეფასება გაუარესდა და ყველაზე დიდი წონა (საშუალოდ 63%) მიიღო დებულებამ „ღარიბი - მეტ-ნაკლებად იკმაყოფილებს შიმშილს". სამიზნე სოფლებში ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა სხვაობა არ არის ნიშანდობლივი. დასკვნითი კვლევის შედეგების თანახმად ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ასპინძასა და ბორჯომში.

**დიაგრამა #13:** ოჯახის სოციალური პირობები - ინტერვიუერის შეფასება[9]




ნათელია, რომ შესწავლილი ოჯახების აბსოლუტური უმეტესობა ელემენტარული საარსებო უზრუნველყოფის საჭიროების წინაშე დგას. მათი ძირითადი გამოწვევა ოჯახის გამოკვება

[8] დასკვნითი კვლევის მონაცემები
[9] დასკვნითი კვლევის მონაცემები

**Diagram #12:** Family life conditions – assessment of an interviewer[8]




According to the interviewer's assessment, 30% of the surveyed families were evaluated as "poor/satisfies hunger more or less" at the baseline survey stage, the highest weight 48% was given to the evaluation "average resources/satisfies hunger". According to the endline survey results the assessment worsened and the highest weight (average 63%) received the assessment "poor/satisfies hunger more or less". Slightly better situation was detected in the target villages, though the difference is not significant. According to the endline survey results the hardest situation is in Aspindza and Borjomi municipalities.

**Diagram #13:** Social conditions of a family - assessment of an interviewer[9]




[8] Endline survey results
[9] Endline Survey results

და ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. შესაბამისად, განსაკუთრებულად აქტუალურია სოფლად, ერთის მხრივ, ძლიერი სოციალური პროგრამების ამოქმედება და, მეორეს მხრივ, სამეწარმეო საქმიანობის (განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნესის) დაწყებისა და განვითარების ხელშეწყობა.

## ქალთა სამეწარმეო საქმიანობა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა ქალთა სამეწარმეო გამოცდილება, მათი შესაძლებლობები, დამოკიდებულებები და სურვილები ბიზნესსექტორში ჩართულობის მიმართულებით.

კვლევის მიზნებისთვის სამეწარმეო საქმიანობად სოფლის დონეზე განიხილება ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც შინამეურნეობის ნებისმიერი წევრი ეწევა შემოსავლების მიღების მიზნით. კვლევის ეტაპების მიხედვით შედარებისას გამოვლინდა, რომ ყველაზე მცირე ცვლილება შეეხო სამეწარმეო საქმიანობას და მონაცემი მხოლოდ 1 პუნქტით გაიზარდა. მოიმატა საშუალოდ 5%-ული პუნქტით მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სფეროში საქმიანობამ. თუმცა შემცირებაა რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის მიმართულებით. რაც შეეხება ლოკაციების მიხედვით სურათს, ლაგოდეხსა და ასპინძაში მიწათმოქმედებას შინამეურნეობების თითქმის 90% ეწევა. ხოლო ჭიათურასა და დუშეთში აქ საკმაოდ მცირე დოზით ეწევიან რაიმე ტიპის სამეურნეო საქმიანობას.

**დიაგრამა #14:** ძირითადი საქმიანობები, რომლებსაც ეწევა ოჯახი შემოსავლის მიღების მიზნით (%)



It is evident that absolute majority of the surveyed families are facing need for elementary subsistence provision. Feeding of family and being concerned on healthcare is their basic challenge. Correspondingly, it is especially urgent in rural area, on the one hand, effectiveness of strong social programs and, on the other hand, promotion of starting and development of entrepreneurial business (especially micro- and small businesses).

## Entrepreneurial Activities of Women

Resulting from the survey goals there were studied women's entrepreneurial experience, their capabilities, attitudes and wishes in the direction of involvement in business sector.

For the survey purposes, any activity carried out by any member of a household to obtain income shall be considered as entrepreneurial activity on a village level. While comparing the survey stages, the least change has been identified in the entrepreneurial activity and it has increased only by 1 point. The agricultural and livestock activity has increased by the 5% points, though the milk and dairy products realization has decreased. As for the data distribution by the locations 90% of families in Lagodekhi and Aspindza get income from agricultural activities. In Chiatura and Dusheti the families here are hardly involved in any type of entrepreneurial activities.

**Diagram #14:** Basic activities, carried out by families to get income (%)



შინამეურნეობების უკვე არსებული თუნდაც სასოფლო-სამეურნეო გამოცდილება შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული ბაზისი სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის და მოხდეს ისეთი ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ან განავითარებენ არსებულ მეურნეობებს, ან მათი დაბალეფექტიანობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობენ შინამეურნეობებს მოახდინონ ეკონომიკურად უფრო ეფექტიანი მიმართულებების იდენტიფიკაცია და განხორციელება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების ჯამურად მხოლოდ 12%-ს ჰქონია შესაძლებლობა საოჯახო ბიზნესის ფარგლებში ესარგებლა რომელიმე მხარდამჭერი პროგრამით (იგულისხმება გრანტი, შეღავათიანი სესხი და ა.შ) - საჭიროებების კვლევის ეტაპზე. მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა დასკვნით ეტაპზე და მან 12,8% შეადგინა. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ საკმაოდ შეზღუდულია როგორც მსგავსი ტიპის პროგრამების რაოდენობა და მათზე ხელმისაწვდომობა, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობა და სავარაუდოდ მოტივაციაც ჩაერთონ და გახდნენ ინიციატივების ბენეფიციარები.

სოფლად მცხოვრები ქალების დამოკიდებულებას და მოტივაციას ჩაერთონ სამეწარმეო საქმიანობაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. საკუთარი ან ახლობლის გამოცდილება და ამათუიმ პროცესების აღქმა. საგულისხმოა, რომ რესპონდენტების დამოკიდებულება მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. კითხვაზე, ზოგადად ქალი მეწარმისათვის ხელმისაწვდომია თუ არა სესხის გამოტანა ბანკიდან ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან, რესპონდენტების 56%-მა დადებითი პასუხი გასცა კვლევის პირველ ეტაპზე, ხოლო მეორეზე კი - 65%-მა. ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ ქალი მეწარმისათვის სესხის აღება არაა ხელმისაწვდომი, მონაცემი 26%-დან 5%-მდე ჩამოვიდა.

**დიაგრამა #15:** სესხზე ხელმისაწვდომობა ქალი მეწარმისთვის

**საჭიროებების კვლევა** | **დასკვნითი კვლევა**




რესპონდენტებმა, რომლებიც მიიჩნევენ რომ ქალისათვის სესხის აღება არაა ხელმისაწვდომი, დაასახელეს ამის ძირითადი მიზეზები: არ აქვს შემოსავლის სათანადო წყაროები -81%; არ აქვს საკუთრებაში ქონება (სახლი, მიწის ფართობი, და ა.შ) - 25%; სესხის ვერ დაფარვის

Already existing experience can be reviewed as certain basis for further development of entrepreneurial business and implementation of such initiatives which will either develop current farms or, in the case of their low efficiency, support households in identification and implementation of economically more effective directions.

It should be mentioned that only 12% of the respondents in total have had any opportunity to make use of any supporting program (there is meant grant, cheap credits, etc.) at the baseline survey stage. The data is almost the same in the endline survey results and amounts 12.8%. The mentioned results show that there is quite limited the number as of such type of programs and their availability, so the opportunities of the residents of rural areas and, presumably, motivation to get involved and become beneficiaries of initiatives.

The information at hand of women residing in rural areas, their own or their friend's experience and perception of this or that project defines their attitude and motivation to get involved in entrepreneurial business. The question whether it is available for women-entrepreneurs getting credit from a bank or micro-finance organization, 56% of the respondents gave positive answer at the first stage of the survey, as for the second stage – 65%. In addition the number of the respondents who think that getting credit for a woman-entrepreneur is not available has significantly decreased from 26% to 5%.

**Diagram #15:** Credit availability for a woman-entrepreneur




The respondents, thinking that credits are not available for women, named basic reasons for that: a woman does not have reliable income sources –81%; does not own any property (house, land plot, etc.) – 25%; risk of inability to pay the credit back – 17%. It is interesting that just 2 respondents think that the reason can be subjective evaluation by a credit officer.

რისკი - 17%. საგულისხმოა, რომ მხოლოდ მხოლოდ 2 რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მიზეზი შეიძლება იყოს სუბიექტური შეფასება სესხის ოფიცრის მხრიდან.

რესპონდენტების ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილების შესწავლის მიზნით დადგინდა, რომ მათ 50%-ს გასული წლის განმავლობაში საერთოდ არ მიუმართავს საფინანსო ორგანიზაციისათვის სესხის მისაღებად (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის სესხი, მათ შორის სამომხმარებლო); 11%-მა მიმართა და ვერ მიიღო, ხოლო შესაბამისად 39%-მა გამოიტანა სესხი. საინტერესოა, ლაგოდეხში სესხის მიღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

**დიაგრამა #16:** სესხის მიღება ბანკიდან ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან




სულ გამოკვლეულ შინამეურნეობებში 168-მა პირმა (11,2%) მიმართა ბანკს ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და არ დაუმტკიცდათ სესხი. საინტერესოა მათი აღქმა და დამოკიდებულება თუ რატომ მოხდა ასე. სესხის ვერ აღების მიზეზად 73%-მა დაასახელა ის ფაქტი, რომ ვერ აჩვენა შემოსავლის წყარო, ხოლო - 17%-ს არ გააჩნდათ საკუთრებაში ქონება.

კვლევის ორივე ეტაპის შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახებისათვის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგენს. შედარებით ყველაზე მეტი შემოსავლების გენერირებას განსაკუთრებით ლაგოდეხისა და ასპინძის თემებში ახერხებენ. რაც თავის მხრივ, კავშირშია იმ გარემოებასთან რომ ამ თემების მოსახლეობა ყველაზე მეტი ფართობის მიწას ამუშავებს და შესაბამისად მეტი მოსავალიც აქვთ. ლაგოდეხისათვის ოჯახების უმეტესობა ძირითადად ყურძენს ყიდის. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ყურძნის მოსავალი თითქმის იგივე იყო რაც საჭიროებების კვლევის დროს, შემცირდა რა გასაყიდი ფასი 1 ლარიდან 60 თეთრამდე, დასკვნითი კვლევის შედეგებით ამ კომპონენტში ოჯახების შემოსავალი შემცირდა, თუმცა კვლავ დარჩა ოჯახებისათვის შემოსავლის ძირითად წყაროდ. კიტრი და პომიდორი ასევე პერსპექტიული მიმართულებაა კახეთის რეგიონისათვის. დუშეთში ყველაზე მეტად ყველს ყიდიან, თუმცა თემებში არსებული რამოდენიმე ოჯახი კარგ შემოსავალს იღებს თაფლის წარმოებით. მეთაფლეობას მცირემიწიანი დუშეთისათვის განვითარების სერიოზული პერსპექტივა გააჩნია.

In order to study the experience of relationship between the respondents and banks and micro-finance organizations it has been identified that 50% of respondents have never applied to financial organizations for credit during the previous year (it is meant any type of credit, including, consumer credit); 11% have applied but were not given any and, correspondingly, 39% have received credit. It is interesting that in Lagodekhi has been detected the highest indicator of receiving credits.

**Diagram #16:** Receiving credits from bank or micro-finance organization




Among the surveyed households 168 individuals (11.2%) have applied to a bank or/and micro-finance organization and have not been given credits. Their perception and attitude is interesting in regard to the above. 73% of the respondents named the reason, that they could not show any income source, 17% said that it happened because they did not have any property.

The both survey results prove that the realization of agricultural products is the important income source for families, in Lagodekhi, and Aspindza communities' families manage to generate more income than in other locations. It is caused by the fact that in the mentioned places families cultivate more land plots and relatively they harvest more products. Most of families in Lagodekhi sell grapes. Besides the fact that the harvested grapes amount has not changed since the baseline survey results, the prices for 1kg has decreased from 1 GEL to 0.6 GEL, which caused the decrease of the income from grapes at the endline survey stage, though it is still remaining the main source of the income for the families. The cucumbers and tomatoes are also the perspective fields in Kakheti region. The cheese is mostly sold in Dusheti, though several families in the community receive important income from the beekeeping. Honey production has serious perspective of development in Dusheti, the region with limited area of lands.

About 10% of families in Chiatura are getting income from realization of agriculture products. The main reason for this is lack of land, so they are using their own vegetables and products themselves. Cheese, maize and beans – these are the products which families sell most of all in this municipality, though received income is small and is not enough for satisfying the families' basic needs.

ჭიათურაში ოჯახების საშუალოდ 10% იღებს შემოსავალს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან. ამის ძირითადი მიზეზი არის მცირემიწიანობა და მოწეულ მოსავალს ძირითადად თვითონვე მოიხმარენ. ყველი, სიმინდი და პომიდორი - არის ის პროდუქტები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ყიდიან ოჯახები ამ მუნიციპალიტეტში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული შემოსავლები უმნიშვნელოა და ვერ უზურნველყოფს ოჯახების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ყველი არის ის ერთადერთი პროდუქტი, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე ხშირად გაყიდული პროდუქტების პირველ სამეულშია. ამასთან. ბორჯომსა და ასპინძაში ოჯახები ყველაზე მეტ შემოსავალს სწორედ ყველის რეალიზაციიდან იღებენ. თუმცა ამ მუნიციპალიტეტებში კარტოფილის მოყვანა ასევე აქტუალური საკითხია.

**ცხრილი #5:** ყველაზე ხშირად გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საშუალო წლიური რაოდენობა და მათი ფასები მუნიციპალიტეტების მიხედვით

| | ოჯახების რაოდენობა | საშუალო რაოდენობა ოჯახზე (კგ) | საშუალო ფასი 1 კგ-ზე | საშუალო შემოსავალი ოჯახზე (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| **ლაგოდეხი** | | | | |
| ყურძენი | 277 | 3210 | 0.6 | 1987 |
| კიტრი | 190 | 1814 | 0.3 | 516 |
| პომიდორი | 172 | 910 | 1.0 | 911 |
| **დუშეთი** | | | | |
| ყველი | 108 | 66 | 6.2 | 410 |
| კარტოფილი | 53 | 108 | 0.7 | 75 |
| ხილი | 16 | 291 | 1.0 | 291 |
| **ჭიათურა** | | | | |
| ყველი | 100 | 43 | 7.3 | 315 |
| პომიდორი | 20 | 50 | 1.0 | 50 |
| სიმინდი | 21 | 22 | 0.73 | 16 |
| **ბორჯომი** | | | | |
| კარტოფილი | 194 | 300 | 0.6 | 180 |
| კიტრი | 42 | 346 | 0.9 | 311 |
| ყველი | 231 | 61 | 6.2 | 379 |
| **ასპინძა** | | | | |
| კარტოფილი | 198 | 638 | 0.7 | 447 |
| ყველი | 136 | 94 | 10.8 | 1015 |
| ნიგოზი | 113 | 42 | 9.4 | 398 |

კვლევის ორივე ეტაპზე ასევე შესწავლილ იქნა გაყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. საჭიროებების კვლევის პერიოდისათვის გასაყიდი პროდუქციის ფასისა და რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახების 51%-ში მამაკაცები იღებენ, 26%-ში ერთობლივად, 20%-ში კი ქალები. დასკვნითი კვლევის შედეგების თანახმად, სიტუაცია მნიშვნელოვანდ შეიცვალა, მართალია მცირედით შემცირდა მხოლოდ ქალთა მიერ

Cheese is the only product out of the first three top products for all municipalities. In Borjomi and Aspindza families get the most of their income from selling cheese, though growing of potato is equally urgent in these municipalities.

**Table #5:** Average annual amount of the agriculture products being sold most frequently and their prices according to the municipalities

| Product | Number of Families | Average quantity per family (kg) | Average price per 1 rg | Average income of families (GEL) |
|---|---|---|---|---|
| Lagodekhi | | | | |
| **grapes** | 277 | 3210 | 0.6 | 1987 |
| **cucumber** | 190 | 1814 | 0.3 | 516 |
| **tomato** | 172 | 910 | 1.0 | 911 |
| Dusheti | | | | |
| **cheese** | 108 | 66 | 6.2 | 410 |
| **potato** | 53 | 108 | 0.7 | 75 |
| **fruit** | 16 | 291 | 1.0 | 291 |
| Chiatura | | | | |
| **cheese** | 100 | 43 | 7.3 | 315 |
| **tomato** | 20 | 50 | 1.0 | 50 |
| **maize** | 21 | 22 | 0.73 | 16 |
| Borjomi | | | | |
| **potato** | 194 | 300 | 0.6 | 180 |
| **cucumber** | 42 | 346 | 0.9 | 311 |
| **cheese** | 231 | 61 | 6.2 | 379 |
| Aspindza | | | | |
| **potato** | 198 | 638 | 0.7 | 447 |
| **cheese** | 136 | 94 | 10.8 | 1015 |
| **walnuts** | 113 | 42 | 9.4 | 398 |

There has been also studied the process of decision-making in regard to sales at the both stages of the survey. It has been revealed that in 51% of cases decision on the price and quantity of the production to be sold was made by a man in the baseline survey, in 26% jointly, in 20% women. In the endline survey results the situation significantly changed. The number of families has slightly decreased to 19% where women make decisions, though it is important, that the same data in the target villages is 22%, in the counterweight villages only 14%. It is important the increase of the percentage of the families where the decisions are made jointly, at the endline survey stage it amounted 53% - the data has increased twice. Relatively the number of the families where decisions were made only by the men has significantly decreased.

გადაწყვეტილების მიღების წონა და 19% შეადგინა, თუმცა საგულისხმოა, რომ იგივე მაჩვენებელი სამიზნე სოფლებისათვის არის 22%, ხოლო საპირწონესათვის მხოლოდ 14%. მნიშვნელოვანია ერთობლივად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევათა მნიშვნელოვანი ზრდა, რომელსაც დასკვნით კვლევის პერიოდისათვის ოჯახების 53%-ში ქონდა ადგილი - მაჩვენებელი 2-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა მხოლოდ მამაკაცების მიერ გადაწყაყვეტილების მიღება.

**დიაგრამა #17:** გასაყიდი პროდუქციის რაოდენობისა და ფასის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირები




თითქმის არ შეცვლილა შინამეურნეობებების მიერ პროდუქციის გაყიდვის გზები. ყველა მუნიციპალიტეტში ძირითადად ადგილზე ყიდიან - საშუალოდ 60%. გაყიდვის ამ მეთოდით რეალურად ოჯახები შესაძლო მინიმალურ შემოსავალს იღებენ. რესპონდენტების 25%-კი როგორც წესი პროდუქციას თვითონ ყიდის აგრარულ ბაზარში. ამასთან, საინტერესოა, რომ პროდუქციის ფიზიკურად გაყიდვას, უმეტესად მამაკაცები ახორციელებენ - 49%. იგივე მონაცემი ქალებისათვის 27%-ს შეადგენს, ხოლო ერთობლივად მოსავლის გაყიდვა ოჯახების 19%-ში ხდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი სხვაობა სამინზე და საპირწონე სოფლებისათვის არ გამოვლენილა.

შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით აუცილებელია ბაზრებზე წვდომის გაზრდა. საწარმოო ღირებულებათა ჯაჭვში ეს ოჯახები საწყის რგოლს წარმოადგენენ, თუმცა ვერ ახერხებენ ამ ჯაჭვის ზედა რგოლებზე წვდომას და მეტწილად არიან დამოკიდებულები იმ მებითუმეებზე, რომლებიც მათი სახლის კართან ჩაივლიან. სამეწარმეო უნარ-ჩვევების ამაღლებითა და დამატებით მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით შესაძლებელი გახდება ოჯახების შემოსავლების ზრდა.

მიღებული სურათი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ინიციატივებისა თუ სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისას აუცილებელია გამოვლინდეს და გათვალისწინებულ იქნას პრიორიტეტული მიმართულებები მუნიციპალიტეტის და ხშირ შემთხვევაში თემის დონეზეც კი.

**Diagram #17:** Individuals making decision on quantity and price of products to be sold




The ways of selling products has not almost changed. In all municipalities households are selling their products locally – 60%. Through such method of selling families, in reality, are obtaining minimal income. 25% of the respondents, as a rule, are selling the products at agrarian markets themselves. At the same time, it is interesting that physically products are sold by men – 49%. The same indicator for women is 27% and products are jointly sold in 19% of the families. The significant change in regard of the target and counterweight villages has not been detected.

In order to increase incomes of households it is necessary to increase their access to markets. In the production value chains these families represent initial rings, though they cannot access upper rings of this chain and mostly they depend on wholesalers passing their houses. Through developing entrepreneurial skills and increasing access to additional services increasing family income will become possible.

The picture shows that, when planning various initiatives of agricultural character or state programs, it is necessary to reveal and consider priority directions on the level of a municipality and often even on the level of the community.

## ქალთა ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები

ქალთა ეკონომიკური განვითარება დღევანდელი თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია. საქართველოში ეს საკითხი დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები პირებისათვის. მძიმე სოციალური ფონი, დაბალი ხელმისაწვდომობა ფინანსებზე - განსაკუთრებით საქმიანობის დაწყებისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულელებების მწირი რაოდენობა, სამეწარმეო განათლების და უნარების გაზრდის შეზღუდული შესაძლებლობა კულტურულ დამოკიდებულებებთან და ტრადიციულ კლიშეებთან - „თუ რა არის და რა არა ქალის საქმე" - ერთად თითქმის წარმოუდგენელს ქმნის სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურად გააქტიურებისა და განვითარების შესაძლებლობებს. ეს უდიდესი გამოწვევა საკმაოდ კომპლექსურია და შესაბამისად მოითხოვს კომპლექსურ და მრავალმხრივ ინტენსიურ მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული კვლევების პერიოდებს შორის, აღნიშნული გამოწვევებისაკენ მიმართული რაიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამა ან ინიციატივა არ განხორციელებულა.

საჭიროებების კვლევამ აჩვენა, რომ სამეწარმეო საქმიანობაში გამოკვლეული ოჯახებიდან საშუალოდ 19%-ში მხოლოდ ქალები არიან ჩართულები, 23%-ში მხოლოდ მამაკაცები, ხოლო ნახევარზე მეტში - 53% ერთობლივად ეწევიან საქმიანობას. თითქმის ანალოგიური პროპორციით განაწილდა პასუხები კითხვაზე: „თქვენს ოჯახში ვინ განკარგავს, როგორც წესი, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს" (ქალები - 17%; კაცები - 24%, ორივე ერთად 55%). შეიცვალა მდგომარეობა დასკვნით კვლევის პერიოდისათვის. ყველაზე თვალსაჩინოა ცვლილება, რომელიც ეხება ერთობლივად საქმიანობის წარმოებასა და შემოსავლების განკარგვას, მონაცემი ყველა თემისათვის არის გაზრდილი. საინტერესოა, რომ მხოლოდ ქალების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებელი ერთი შეხედვით უცვლელი დარჩა, თუმცა სამიზნე სოფლებში მაჩვენებელი 24%-მდეა გაზრდილი, როდესაც საპირწონე თემებში მხოლოდ ქალთა ჩართულობა 13%-ს არ აღემატება. ანალოგიურია მდგომარეობა მიღებული შემოსავლების განკარგვის თვალსაზრისითაც, სამიზნე სოფლებში შემოსავლების განკარგვას მხოლოდ ქალები ოჯახების 18%-ში ახდენენ, ხოლო საპირწონეში - 12%-ში.

**დიაგრამა#18:** ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობა (%)



## Economic Development Opportunities for Women

Economic development of women is urgent issue for the contemporary world. In Georgia it is related to additional challenges, especially for women residing in rural areas. Heavy social background, low access to finances, especially for business start-ups, small number of pre-school institutions, limited opportunity to increase entrepreneurial education and skills, cultural attitudes and traditional clichés – "what should and should not do a woman" – makes impossible to have opportunity of economic activity and development for woman residing in rural areas. This serious challenge is quite complex and, correspondingly, requires complex and intensive diverse working.

It should be mentioned that any important state support projects and initiatives to cover the mentioned challenges has not been implemented between the period of the conducted studies.

The baseline survey showed that, out of the surveyed families from the point of view of entrepreneurial activities, about in 19% of them women are involved in such business, in 23% - just men and in 53% (more than a half) they are doing business jointly. The proportion of answers was almost the same on the question: Who, as a rule, the income management obtained from entrepreneurial business in your family (women – 17%; men – 24%, both together – 55%). For the endline survey period the situation has changed. The most vital is the change in answers of jointly working in business and the joint income management, the data has increased for all the communities. It is interesting that the percentage of the families, where only women are involved in the household business remained the same, though in the target communities the mentioned data has increased to 24%, while in the counterweight villages it is only 13%. The similar is the situation with the income management data, in 18% of the families in the target communities only women manage the family income, in the counterweight communities – 12%.

**Diagram #18:** Involvement of family members in entrepreneurial activities (%)



**დიაგრამა #19.** ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავლების განკარგვა (%)




სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური განვითარება რთული, გამოწვევებით აღსავსე და გრძელი გზაა. ტრადიციული დამოკიდებულებების შეცვლა, ქალთა მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად ამ გზის გავლისათვის საჭირო მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. შესაბამისად, მიღწეული ცვლილებები ქცევაში, რაც გამოიხატება, როგორც ერთობლივად გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე დამოუკიდებლად ქალის მიერ სამეწარმეო საქმიანობის წარმართვასა და შემოსავლების განკარგვაში, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი და ნათელი მაგალითია იმისა, რომ აუცილებელია ჩარევა და ინიციატივების განხორციელება ქცევის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად.

## პროექტის შედეგების შეფასება

დასკვნითი კვლევის ეტაპზე ასევე სპეციალური უშუალოდ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული კითხვები დაესვათ მხოლოდ სამიზნე თემებში მცხოვრებ რესპონდენტებს. სულ სამიზნე თემებში გამოიკითხა 810 რესპონდენტი. შესაბამისად, მოცემული პასუხები ასახავს მათ დამოკიდებულებებსა და შეფასებებს.

კითხვაზე „გსმენიათ თუ არა პროექტი "ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის" შესახებ?", რესპონდენტთა 76,2%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო შესაბამისად 23,8%-მა უარყოფითი. მონაცემი განსხვავებულია ლოკაციების მიხედვითაც. პროექტის ცნობადობა ყველაზე მაღალია ჭიათურასა და ლაგოდეხში, ხოლო შედარებით ნაკლებად იცნობენ ბორჯომში (64%). თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩატარებული საინფორმაციო კამპანია იყო ეფექტიანი და სათანადო დონეზე მოიცვა მიზნობრივი აუდიტორია.

**Diagram #19:** Income management of family members (%)




Economic development of women residing in rural area is the long and complicated way, full of challenges. Changing of traditional attitudes, increasing of women's motivation and self-assessment together with improving availability of finance are only the first steps necessary to walk along this way. Relatively the achieved changes in behavior, which is expressed as in the jointly decision making process also in the women's independently running the entrepreneurial activity and income management, are the important steps forward. They can serve as good examples that the interventions are necessary and the implementation of the initiatives are important to change behavior, attitudes and practice.

## The assessment of the project results

The special questions related to the project implementation were asked at the endline survey stage to the respondents residing only in the target communities. Totally 810 respondents were surveyed in the endline survey, the below given answers show their attitude and opinion.

On the question "have you heard of the project "Women as Agents for Change and Empowerment"?" 76.2% of the respondents answered positively, 23.8% negatively. The data is different according to the locations. The project awareness is highest in Chiatura and Lagodekhi, and it is less known in Borjomi (64%). We can definitely state that the implemented information campaign was efficient and has covered the target audience appropriately.

**დიაგრამა #20.** „გსმენიათ თუ არა პროექტი „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ შესახებ (%)




საგულისხმოა, რომ ინფორმირებული რესპონდენტების 85%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ პროექტი ძალიან კარგია და მხოლოდ 2% თვლის, რომ არანაირი სარგებელი არ მოუტანია. პროექტმა შეფასების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ლაგოდეხსა და ჭიათურაში მიიღო. შედარებით ნაკლები კი ბორჯომსა და დუშეთში.

**დიაგრამა #21**: პროექტის შეფასება სამიზნე სოფლებში




